პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 252 (4246)

1970 წ. 26 დეკემბერი. შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



თბილისის სპორტის სასახლეში ორ დღეს გრძელდებოდა გამოჩენილი ქართველი ფალავნის სანდრო კანდელაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში. ფალავნის საპატიო სახელი მოიპოვა თბილისელმა შ. გულიაშვილმა.

• • •

სურათზე: შ. გულიაშვილი საპატიო პრიზით ხელში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## გამოჩნდა ფინიშის ზონარი

რიგა, 24 დეკემბერი. სსრ კავშირის ვაჟთა 38-ე საჭადრაკო ჩემპიონატი მიიწურა. გუშინ გათამაშდა XIX ტური. ვ. ტუკმაკოვმა (ოდესა) კარგად ითამაშა ვ. მიკენასთან (ვილნიუსი) და გაიმარჯვა. ვ. კორჩნოიმ (ლენინგრადი) ამ დღეს ვერ დაამთავრა შეხვედრა მოსკოვის ჩემპიონ ი. ბალაშოვთან. წარმატებით იბრძოლა მესამე ლიდერმა ლ. შტეინმაც (კიევი), რომელმაც რ. ვაგანიანს (ერევანი) მოუგო.

ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა (ლენინგრადი) სძლია ვ. დოროშკევიჩს (გროზნო), ვ. ლიბერზონმა (მოსკოვი) — მ. პოდგაეცს (ოდესა), ვ. ბაგიროვმა (ბაქო) — მ. ცეიტლინს (ლენინგრადი), ვ. სავონმა (ხარკოვი) — ი. დემენტიევს (კალინინგრადი), ი. ზაიცევმა (მოსკოვი) — ვ. კარასიოვს (ლენინგრადი).

ყაიმით დაკმაყოფილდნენ რ. ხოლმოვი (მოსკოვი) — ა. გიპსლისი (რიგა) და ო. მოისეევი — ი. ავერბახი (ორივე — მოსკოვი).

XX ტურში კორჩნოიმ განიმტკიცა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის მოპოვების შანსი. მისმა მეტოქემ პოდგაეცმა ფიგურის შეწირვით უკიდურესობამდე გაართულა თამაში. ცაიტნოტში კორჩნოი ზუსტად იბრძოდა და ბოლოს ორი ზედმეტი ფიგურით დარჩა. 43-ე სვლაზე პოდგაეცი დანებდა.

ვერცხლის მედალს უმიზნებს შტეინი. მიკენასთან ენდშპილში იგი უდიდესი მოთმინებით თამაშობდა ორი კუს უპირატესობის რეალიზებისთვის. ლიტველმა ოსტატმა ხარისხის შეწირვით ამაოდ სცადა წინააღმდეგობის გახანგრძლივება: შტეინმა მაინც გაიმარჯვა.

ტუკმაკოვი, რომელიც ვერცხლის მედლის მთავარი კანდიდატია, ყაიმით დაკმაყოფილდა კარპოვთან შეხვედრაში. ახლა იგი მხოლოდ ნახევარი ქულით უსწრებს შტეინს. მათს ურთიერთობას გაარკვევს დასკვნითი, XXI ტური, რომელშიც ტუკმაკოვი და შტეინი ერთმანეთს ხვდებიან.

პლატონოვმა ლამაზად მოუგო მოისეევს. დემენტიევი დამარცხდა ვ. ანტოშინთან (მოსკოვის ოლქი).

ყაიმზე შეთანხმდნენ გიპსლისი— სავონი, დოროშკევიჩი — ხოლმოვი და ლიბერზონი — ბაგიროვი. სხვა პარტიები გადაიდო.

20 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეულში არიან კორჩნოი — 14,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ტუკმაკოვი — 14, შტეინი — 13,5.



## ორნი „სპარტაკიდან"

### შვიდივე შეხვედრა წმინდად მოიგო

„სპარტაკის" რესპუბლიკურ საბჭოში ქალაქ ბელციდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: ორი ქართველი ათლეტი პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში. ესენი არიან სპორტის ოსტატები ა. ქელდიშვილი (74 კგ) და ზ. გობეჯიშვილი (90 კგ).

რამდენიმე სიტყვა ამ მოჭიდავეებზე. ქელდიშვილის აღზრდაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს, წარსულში ცნობილ მოჭიდავეს მ. ოსიყმაშვილს. ქელდიშვილი რამდენიმეჯერ საქართველოს ჩემპიონი იყო ჭაბუკთა შორის. იგი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ოქროს მედლის მფლობელიცაა. ბელციში მან შვიდივე შეხვედრა წმინდად მოიგო. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, 21 წლის ა. ქელდიშვილი ღირსეულად გახდა ჩემპიონი.

ზ. გობეჯიშვილი უფრო გამოცდილი მოჭიდავეა. მას კარგად იცნობენ თავისუფალი ჭიდაობის მოყვარულები. გობეჯიშვილი ბევრჯერ იყო რესპუბლიკის ჩემპიონი, წლეულს კი „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა მოიგო. ბელციში გობეჯიშვილმა 5 შეხვედრა ჩაატარა: 4 წმინდად მოიგო, ერთი — ქულებით.

ვ. ქობელაშვილი.

• • •

სურათებზე: ა. ქელდიშვილი (მარცხნივ) და ზ. გობეჯიშვილი.

## საახალწლო საჩუქარი ბრიანსკელებს

ბრიანსკი, 25 დეკემბერი. ქალაქის განაპირას — ფოკინის რაიონში, ბრიანსკელთა საზამთრო დასვენების საყვარელ ადგილას დღეს გაიხსნა სპორტული გამქირავებელი ბაზა, სპორტის ზამთრის სახეობათა მოყვარულებისთვის აქ არის 2000-ზე მეტი თხილამურები და ციგურები. ზაფხულში ბაზაში გასაქირავებლად იქნება ველოსიპედები, ტურისტული საჭურველი და სხვა სპორტული საქონელი. ზამთრის დადგომასთან ერთად აქ უკვე გახსნილია 20-მდე სათხილამურო სადგური და სპორტული საჭურვლის გამქირავებელი პუნქტი.

## სამხრეთ ავსტრალიის ჩემპიონი

ადელაიდა, 24 დეკემბერი. სამხრეთ ავსტრალიის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულთა გრძელ სიაში პირველად შეიტანეს საბჭოთა ჩოგბურთელის, სსრ კავშირის ჩემპიონის ო. მოროზოვას (მოსკოვი) გვარს. თბილისელ ა. მეტრეველთან ერთად მან საუცხოოდ აიღო სტარტი „მწვანე კონტინენტის" კორტებზე. ევროპის ჩემპიონმა აქ გამართულ შეჯიბრებაში მაღალი ოსტატობა და გამარჯვებისკენ შეუნელებელი ლტოლვა გამოავლინა. სამხრეთ ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალურ მატჩში მოროზოვამ დაამარცხა კ. კემერი (აშშ) — 6:4, 4:6, 9:7.

სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი მეტრეველი ფინალში გავიდა. ნახევარფინალში მან აჯობა ავსტრალიის ერთ-ერთ ძლიერეს ჩოგბურთელს ბ. ფილიპს-მურს — 6:4, 6:4, 3:6, 6:2. ახლა მეტრეველს მძიმე ბრძოლა ელის უიმბლდონის 1965 წლის ტურნირის გამარჯვებულთან, ავსტრალიელ ჭ. ფლეტჩერთან.

## ახალი ამბები

● ამსტერდამი, 23 დეკემბერი. ასუჯრიან შაშში აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში — „ვარსკვლავთა ტურნირში" ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა. IV ტურში ჰოლანდიელმა სეიბრანდსმა დაამარცხა თანამემამულე გროსტი, შემდეგ ტურში კი ასევე თანამემამულე ვირსმას სძლია. ეს შეხვედრა ექვს საათს გაგრძელდა. ამ გამარჯვებით სეიბრანდსს 4,5 ქულა დაუგროვდა და ლიდერიც გახდა. შემდეგ მოდიან საბჭოთა დიდოსტატები განტვარგი და კუპერმანი, რომელთაც 4-4 ქულა აქვთ. განტვარგმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ამერიკელ სმითთან და მოუგო შვეიცარიელ კაზიმირს, კუპერმანმა კი ყაიმით დაასრულა პარტიები ფრანგ იზართან და მსოფლიო ჩემპიონთან, რიგელ ანდრეიკოსთან. ამ უკანასკნელმა IV ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა კაზიმირთან და ახლა 2 ქულა აქვს.

● ბანგკოკი, 23 დეკემბერი. აზიის ქვეყნების თამაშებში 17 წლის იაპონელმა ქალიშვილმა ი. ნისიგავამ 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ამ სახეობის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგით გაიმარჯვა — 2.26,5. ჩი ჩენმა 100 მ -11,6 წამში, ხოლო 200 მეტრი 23,6 წამში გაირბინა.

● ვალ დ'იზერი, 23 დეკემბერი. საფრანგეთის ამ სამთო აგარაკზე გაიმართა სამთომთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშების მეორე ეტაპი — „პირველი თოვლის კრიტერიუმი". ვაჟები სწრაფდაშვების 3298-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 915 მ) ასპარეზობდნენ. გამარჯვებულმა ქ. კორდინიმ (ავსტრია) ტრასის რეკორდი დაამყარა — 2.09,08. ქალები 2150-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 555 მ) ცდიდნენ ძალას. იმარჯვა ი. მირიმ (საფრანგეთი) — 1.29,44. ორი ეტაპის შემდეგ ქალებში მირი და მისი თანამემამულე მაკში ლიდერობენ. ვაჟებში დაწინაურდა გ. დიუვიიარი, II ადგილზეა ბ. ორსელი (ორივე საფრანგეთი), III — თასის მფლობელი კ. შრანცი (ავსტრია).

● პერთი (ავსტრალია), 23 დეკემბერი. სამხტომსა და სიგრძეზე ხტომაში ავსტრალიის რეკორდსმენმა ფ. მეიმ, რომელიც მეხიკოს ოლიმპიადაში სამხტომში მეექვსე იყო (17,02 მ), ორიოდე დღის წინ ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა (ავსტრალიის რეკორდად მხოლოდ ამ ქვეყანაში ნაჩვენებ შედეგებს თვლიან), ახლა კი იმ შედეგს კიდევ 3 სმ მიუმატა — 16,89. მეიმ სიგრძეზე ხტომაში 815 სმ აჩვენა, მაგრამ ძლიერი ზურგქარის დახმარებით.

● ლენინგრადი, 24 დეკემბერი. ევროპული ლიგის პირველობის გათამაშებაში გამარჯვების შემდეგ მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებმა გუშინ ამხანაგური მატჩი გამართეს ინგლისის ნაკრებთან და დამარცხდნენ — 2:5.

● ბაქო, 24 დეკემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონი 100 მეტრზე რბენაში, ბაქოელი სტუდენტი ა. კორნელიუკი 1970 წლის სეზონის შედეგების მიხედვით აზერბაიჯანის საუკეთესო მძლეოსნადაა დასახელებული. წლევანდელი წელი ამ ნიჭიერი სპრინტერისთვის, 20 წლის კორნელიუკისთვის განსაკუთრებით იღბლიანი გამოდგა: საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებებში მან 11 მედალი მოიპოვა, მათგან 8 ოქროსი. კორნელიუკის წარმატება მისმა ხელმძღვანელმა — სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. საფაროვმაც გაიზიარა: იგი წლის საუკეთესო მწვრთნელადაა აღიარებული.

## ტანვარჯიში-71

თუმცა კენტი წლები ტანვარჯიშის ოსტატებისთვის „წყნარ" წლებად ითვლება (არ იმართება მსოფლიო ჩემპიონატები), 1971 წლის კალენდარს ასეთად ვერ ჩათვლი. უკვე 6-7 მარტს სსრ კავშირის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები თბილისში შეიკრიბებიან, სადაც მეორე საკავშირო კონკურს-შეჯიბრება გაიმართება ყველაზე ორიგინალურ რთულ კომბინაციაში. 9-11 აპრილს ლენინგრადში ჩატარდება სსრ კავშირის თასის გათამაშება და საკავშირო ჩემპიონატი ცალკეულ იარაღებზე.

სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონები ლ. ბურდა და მ. ვორონინი ამ მაღალ წოდებას საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში დაიცავენ 19-24 ივლისს მოსკოვში.

ვორონინს 15-16 მაისს ესპანეთში მოუწევს ბრძოლა თავისი მეორე მაღალი წოდების — ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის სახელის შენარჩუნებისთვის. კონტინენტის ქალთა ჩემპიონატი მინსკში გაიმართება 16-17 ოქტომბერს. როგორც ცნობილია, ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონად გდრ-ის წარმომადგენელი კ. იანცი გვევლინება.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს ბევრი საერთაშორისო შეხვედრაც ექნებათ. დავასახელებთ მათგან უმთავრეს ტურნირებს: თებერვალში მოწინავე საბჭოთა ოსტატები ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრებიან საჩვენებელ ტურნირში სასპარეზოდ, აპრილში საბჭოთა კავშირში საერთაშორისო შეჯიბრების მოწყობაა ნავარაუდევი მსოფლიოს საუკეთესო ოსტატთა მონაწილეობით. ნოემბერში იაპონიის დედაქალაქში გაიმართება იაპონიისა და სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა, იმავე თვეს კი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერთმანეთს შეეჯიბრებიან გდრ-ისა და სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა ნაკრები კოლექტივები.

# რეკორდები უკრაინელთა ხვედრია!

დნეპროპეტროვსკი, 24 დეკემბერი. მანქანათმშენებელთა კულტურის სასახლის ფიცარნაგზე გრძელდება ძალოსანთა შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე.

ქვემსუბუქი წონის ათლეტთა შორის იყვნენ სპორტსმენები, რომლებიც ამ ბოლო წლების საკავშირო შეჯიბრებებში ერთმანეთში იყოფენ საპრიზო ადგილებს, მაგრამ ბრძოლა ამ წონით კატეგორიაში მოულოდნელობით აღინიშნა: უკვე პირველივე მოძრაობაში — აჭიმვაში ნიჭიერმა ათლეტმა, 25 წლის რიგელმა ვ. ანიკინმა საწყისი წონა (122,5 კგ) ვერ დაძლია და შეჯიბრებას გამოეთიშა. თანაქალაქელის მარცხი გამოასწორა ა. დინიკოვმა, რომელმაც სამჭიდში 380 კგ დააგროვა და I ადგილთან ერთად პირადი რეკორდიც დაამყარა. II ადგილი წილად ხვდა დონეცკელ ი. გოლუბცოვს, რომელიც გამარჯვებულს 2,5 კგ-ით ჩამორჩა. გოლუბცოვმა საკავშირო რეკორდი დაამყარა აკვრაში — 152 კგ, რაც 0,5 კგ-ით მეტია თბილისელი დ. შანიძის წინანდელ რეკორდზე. წარუმატებლად გამოვიდა შანიძე, რომელმაც თავისთვის დაბალი შედეგით (367,5=115+112,5+140) დაამთავრა ასპარეზობა და მხოლოდ IV ადგილზე გავიდა. III ადგილზეა ე. ქარიმოვი (უზბეკეთი) — 372,5 კგ.

მსუბუქ წონაში საბჭოთა ძალოსნები ბევრად ჩამორჩებიან მსოფლიო სტანდარტებს და წლიდან წლამდე იმედის მომცემი ათლეტებიც არ ჩანან. გამონაკლისი არც ეს შეჯიბრება გახლდათ, თუმცა საკავშირო რეკორდი მაინც დამყარდა. მისი ავტორი გახლდათ 29 წლის ლვოველი პ. კოროლი. მან აჰკრა 169 კგ და ნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა სსრ კავშირის ყველაზე ხანდაზმული რეკორდი (ხუთი წლის წინათ რეკორდი დაამყარა ვ. კაპლუნოვმა). კოროლმა ყველას აჯობა სამჭიდში — 422,5 კგ. II ადგილზეა 21 წლის როსტოველი არმიელი მ. კირჟინოვი — 415 კგ. ბრინჯაოს მცირე მედალი ერგო ორენბურგელ არმიელს ვ. ლავრუხინს — 410 კგ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებაში დამყარებული მსოფლიო და საკავშირო რეკორდების ავტორები უკრაინის გუნდის წევრები არიან.

ქვესაშუალო წონაში შეუდარებელი იყო ევროპის ექვსგზის და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, 29 წლის არმიელი ვ. კურენცოვი (მოსკოვის ოლქი) — 460 კგ. კურენცოვს არ ჰყავს ღირსეული მეტოქეები არამცთუ საკავშირო, არამედ საერთაშორისო სარბიელზე. და სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რომ თვითონ სპორტსმენიც ვერ მიუახლოვდა საკუთარ მსოფლიო რეკორდს სამჭიდში. II ადგილი წილად ხვდა ხოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების ჩემპიონს, ბელორუსიელ ა. კოვალევსკის — 447,5 კგ. ევროპის 1968 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ლენინგრადელი ე. სმირნოვი III ადგილზეა — 445 კგ.

ამ წონაში დიდი ინტერესით ელოდნენ 18 წლის დონეცკელი ათლეტის ა. გალკინის გამოსვლას. იგი იუნიორთა შორის მსოფლიოს სამი რეკორდის ავტორია: აჭიმვა — 155,5 კგ, აკვრა — 170 კგ და სამჭიდი — 450 კგ. იგი გადამეტებულად რისკიანად, თვითდაჯერებულადაც კი იბრძოდა და სამჭიდში 432,5 კგ-ით მხოლოდ VI ადგილზე აღმოჩნდა.

საშუალო წონაში სსრ კავშირის თასი მოიპოვა მეხიკოს ოლიმპიადის ოქროს მედლის მფლობელმა, 32 წლის ლენინგრადელმა ბ. სელიცკიმ — 492,5 კგ. მან 5 კგ წაუმატა თავის პირად რეკორდს. II ადგილზე გავიდა 23 წლის მინსკელი არმიელი ვ. შარიი — 487,5 კგ. III ადგილზე გავიდა ალმაათელი ფ. პიპერიდი — 472,5 კგ. საქართველოს გუნდის წევრმა ო. დემუროვმა 440 კგ დააგროვა.

მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი, რიგელი გ. ივანჩენკო და მსოფლიოს რეკორდსმენი, ხარკოველი ბ. პავლოვი სხვადასხვა მიზეზის გამო საასპარეზოდ ვერ ჩამოვიდნენ, ხოლო „500-ანთა კლუბის“ მესამე წევრმა ამ წონაში, მინსკელმა ა. გოლუბოვიჩმა უხეირო შედეგი აჩვენა.

6 წონითი კატეგორიის ათლეტთა ასპარეზობის შემდეგ დაწინაურდნენ რსფსრ-ს წარმომადგენლები. II ადგილზე არიან უკრაინელი ძალოსნები, III — მოსკოველები.

ანგარიშგება-არჩევნები

# ტრიბუნაზეა „კოლხიდა“

გაიმართა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდის“ VII კონფერენცია. კლუბის გამგეობის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე დ. სიხარულიძე.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილემ დ. კლდიაშვილმა, მწვრთნელებმა შ. რევიშვილმა, ზ. ქუჩუხიძემ, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ო. ალავიძემ, „განთიადის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე მ. ტურაბელიძემ.

ითქვა, რომ „კოლხიდის“ ფიზკულტურულ ორგანიზაციას მნიშვნელოვანი ღონისძიებანი აქვს ჩატარებული მასობრივ-სპორტულ საქმიანობაში ქარხნის საამქროთა და განყოფილებათა მუშა-მოსამსახურეების ჩაბმის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მე-15, მე-16 და მე-17 საქარხნო სპარტაკიადები შესაბამისად 13, 15 და 16 სახეობაში. 1969 წელს საქარხნო პირველობებში 2600-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

1969 წელს ავტომობილმშენებლებმა მონაწილეობა მიიღეს „განთიადის“ XIII საქალაქო სპარტაკიადაში და პროგრამის 13 სახეობიდან 9-ში I, ხოლო სამ სახეობაში II ადგილები დაიკავეს. შემდეგ მათ მანქანათმშენებლობის მუშაკთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში საერთო I ადგილი დაისაკუთრეს.

„კოლხიდის“ ფიზკულტურულმა კოლექტივმა 1970 წელსაც ნაყოფიერად იმუშავა — მთლიანად შეასრულა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულებანი. შიდასაქარხნო სპარტაკიადასა და შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 4000-ზე მეტმა მუშამ და მოსამსახურემ, ახალგაზრდობის ფიზიკური და სამხედრო ტექნიკური მომზადების საკავშირო დათვალიერება-გამოცდაში საწარმოს 2100-ზე მეტი ახალგაზრდა მონაწილეობდა.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ღირსეულად შეხვედრისთვის აქ მწყობრში ჩადგა ახალი მარტივი ტიპის სპორტული მოედნები. კაპიტალურად შეკეთდა დარბაზი, შეივსო სპორტინვენტარი...

კონფერენციაზე ნაკლიც აღინიშნა. მაგალითად, ითქვა, რომ ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული ყველა შესაძლებლობა და რეზერვი, სპორტსმენთა ნაწილი გაურბის რეგულარულ წვრთნას, ჩამორჩება სწავლაში, საზოგადოებრივ და შრომით საქმიანობაში. ქარხნის საამქროთა და განყოფილებათა ფიზკულტურული საბჭოები სუსტად მუშაობენ. სათანადო სიმაღლეზე არ დგას საწარმოო ტანვარჯიში.

კონფერენციამ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დასახა კონკრეტული ღონისძიება და აირჩია გამგეობის ახალი შემადგენლობა. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. ხარებავა, მოადგილედ — დ. სიხარულიძე.

**გ. ცხადაძე,**
**საავტომობილო ქარხნის გაზეთ „ლენინელის“ რედაქტორის მოადგილე.**

სსრ კავშირის ჩემპიონატები

• •

# მოულოდნელი წინააღმდეგობა



გაიმართა მორიგი ტურის კიდევ ორი მატჩი.

**რიგა.** საინტერესო ბრძოლით აღინიშნა აუტსაიდერთა — ადგილობრივი ვეფ-ისა და მინსკის რტი-ს შეხვედრა. ლატვიელებმა პირველივე ტაიმში მიაღწიეს 7-ქულიან უპირატესობას — 42:35. შესვენების შემდეგ ინიციატივას კვლავ მასპინძლები ფლობდნენ. მათ გაიმარჯვეს კიდეც 86:70.

მეორე დღეს „დაუგავის“ სპორტის ცენტრალურ სახლში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და მოსკოვის არმიელები. სსრ კავშირის ჩემპიონი სრულიად მოულოდნელად წააწყდა რიგელთა მედგარ წინააღმდეგობას. მართალია, ჩემპიონმა შეხვედრა მოიგო (76:69), მაგრამ გამარჯვება მძიმე ბრძოლის შემდეგ ხვდა.

### გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი**

მდგომარეობა 25 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 10 | 9 | 1 | 686—585 | 9 |
| ცსკა | 9 | 8 | 1 | 803—626 | 8 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 9 | 5 | 4 | 617—608 | 5 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 8 | 4 | 4 | 604—589 | 4 |
| „დინამო“ (თბილისი) | 7 | 4 | 3 | 541—543 | 4 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 8 | 4 | 4 | 624—627 | 4 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 8 | 4 | 4 | 588—619 | 4 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 8 | 3 | 5 | 618—594 | 3 |
| ასკ (კიევი) | 8 | 3 | 5 | 554—581 | 3 |
| ვეფ (რიგა) | 8 | 3 | 5 | 621—658 | 3 |
| ასკ (რიგა) | 8 | 2 | 6 | 539—578 | 2 |
| რტი (მინსკი) | 9 | 1 | 8 | 588—665 | 1 |

# ლიდერთა შორის

გასულ კვირას გაიმართა დუბლიორთა რამდენიმე მატჩი.

თბილისის „ბურევესტნიკმა“ კიდევ 1 ქულა ჩაიწერა თავის აქტივში (კიევის „სტროიტელთან“ — 90:85) და ლიდერთა ხუთეულში მოექცა. ახლა თბილისელებს 8 შეხვედრის შემდეგ 4 ქულა აქვთ.

დამარცხდა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი ცსკა. ტარტუს „კალევმა“ მას 5 ქულით მოუგო — 92:87.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: რტი (მინსკი) — ასკ (რიგა) 80:66, „დინამო“ (მოსკოვი) — ასკ (კიევი) 70:80, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 94:78.

### გათამაშების ცხრილი

**დუბლშემადგენლობანი**

მდგომარეობა 24 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბილისი) | 7 | 6 | 1 | 544—466 | 6 |
| ცსკა | 8 | 6 | 2 | 704—637 | 6 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 9 | 5 | 4 | 664—661 | 5 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 8 | 5 | 3 | 692—757 | 5 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 8 | 4 | 4 | 618—641 | 4 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 10 | 4 | 6 | 748—782 | 4 |
| ასკ (რიგა) | 7 | 3 | 4 | 501—491 | 3 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 8 | 3 | 5 | 629—636 | 3 |
| რტი (მინსკი) | 8 | 3 | 5 | 597—613 | 3 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 8 | 3 | 5 | 579—601 | 3 |
| ვეფ (რიგა) | 7 | 3 | 4 | 527—558 | 3 |
| ასკ (კიევი) | 8 | 3 | 5 | 557—617 | 3 |

# მუშაობა შეაჯამეს

გაიმართა „განთიადის“ მახარაძის ორგანიზაციის კონფერენცია. მომხსენებელმა — „განთიადის“ ზონალური საბჭოს თავმჯდომარემ შ. კილურაძემ აღნიშნა, რომ ფიზკულტურულმა კოლექტივებმა ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებითა და მხარდაჭერით საგრძნობლად გააუმჯობესეს საქმიანობა.

ზონალური საბჭო 36 ფიზკულტურულ კოლექტივს ემსახურება. მნიშვნელოვნად გაიზარდა ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა რიგები: კარგი მუშაობით გამოირჩევიან აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის, მაღაროთა სამმართველოს, მახარაძის № 1 და № 2, ნატანების ჩაის ფაბრიკების, ლუდის ქარხნის, ჩოხატაურის № 1 და № 2, აგრეთვე, ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკების ფიზკულტურული კოლექტივები.

მახარაძის № 1 და № 2, ნატანების ჩაის ფაბრიკებში, აბრეშუმის ფაბრიკაში მოეწყო ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის მოედნები, ფეხბურთის მინდვრები. ბევრ ორგანიზაციაში დაინერგა საწარმოო ტანვარჯიში.

წარმატებებთან ერთად აღინიშნა ნაკლოვანებებიც. მაგალითად, ითქვა, რომ ფიზკულტურულ ღონისძიებებში ნაკლებად მონაწილეობენ ქალები. რაიონის ზოგიერთ კოლექტივში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა საწარმოო ტანვარჯიშს.

კამათში გამოვიდნენ აბრეშუმის ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტი ჯ. მდინარაძე, მახარაძის ჩაის № 1 ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტი ქ. გოგუაძე, ჩაის № 2 ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტი ი. ხომერიკი, მაღაროთა სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. მდინარაძე, ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტი ვ. იმნაიშვილი, ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი თ. ბერიძე, მახარაძის ფიზკულტურის კომიტეტის წარმომადგენელი ქ. ხმელიძე, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელი ი. ჯიშკარიანი.

კონფერენციამ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მიიღო დადგენილება, აირჩია საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი. „განთიადის“ მახარაძის ზონალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია შ. კილურაძე.

**ა. შოთაძე.**

მახარაძე.

„ლელოს“ წერილების კვალდაკვალ

## დახმარებას გვთხოვენ

ჩვენი გაზეთის 17 სექტემბრის ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში თ. მიგინეიშვილი გვატყობინებდა, რომ „აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდის წევრებს სპორტული ინვენტარი და ტანსაცმელი არა აქვთ. კოლმეურნეობაში არ არის შექმნილი სპორტული სექციები. სოფლის თავკაცები მდგომარეობის გამოსწორებაზე არ ფიქრობენ“.

როგორც აბაშის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. ტყებუჩავა გვწერს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა გამოსწორებულია.

სოფლის სტადიონზე

## წითელი წყარო

ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 6 კოლექტივი. კარგი ტექნიკური მომზადება გამოავლინეს სოფელ ქვემო ქედის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, რომელთაც რაიონის თასი დაისაკუთრეს. II საპრიზო ადგილზე გავიდნენ ზემოქედელები, ხოლო III — წითელი წყაროს ქართული საშუალო სკოლის წარმომადგენლები.

**გ. კაკალაშვილი.**

• •

# ორი სენსაცია

**ლენინგრადი.** კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე კალენდარულ დღეს ორი სენსაცია მოხდა. მთავარი სენსაცია ტურნირის ერთპიროვნული ლიდერის პირველი მარცხი იყო. თავდაპირველად ყველაფერი „გეგმიანად“ მიდიოდა: ადგილობრივმა „სპარტაკმა“ რიგელებთან ტაიმი 5 ქულით წააგო — 20:25. მაგრამ აი, შესვენების შემდეგ მასპინძელთა გუნდი მთლიანად გარდაიქმნა, რასაც სრულებით არ მოელოდა ტტტ. როცა ლიდერი გონს მოვიდა, მატჩის გადარჩენა შეუძლებელი იყო. „სპარტაკმა“ დამსახურებული წარმატება იზეიმა — 51:47.

მეორე სენსაციის ავტორად მოსკოვის „დინამო“ მოგვევლინა. ძნელი საფიქრებელი იყო, რომ პირველი ტაიმის 6-ქულიან უპირატესობას იგი (32:26) დამაჯერებელ გამარჯვებად აქცევდა. ვილნიუსის „კიბირკშტისი“ ადრევე შეურიგდა მარცხს და შეხვედრის ბოლო წუთებში მხოლოდ „ზრდილობისთვის“ იბრძოდა. ლიტველებმა სატურნირო ცხრილში მეორე მარცხი ჩაიწერეს — 51:71.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) — „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) 57:55 (42:30), „დინამო“ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 54:48 (27:27), „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „სტალი“ (დნეპროპეტროვსკი) 56:43 (35:19).

ლიდერთა სამეული ახლა ასე გამოიყურება: ტტტ (რიგა), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 7-7 ქულა, „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) — 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

### I ჯგუფი
### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 42 | 24 | 13 | 5 | 85—40 | 61 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 42 | 26 | 9 | 7 | 84—54 | 61 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 42 | 26 | 9 | 7 | 86—35 | 61 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 42 | 24 | 8 | 10 | 72—38 | 56 |
| „სინათლე" (თბილისი) | 42 | 19 | 15 | 8 | 75—45 | 53 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 42 | 19 | 12 | 11 | 66—44 | 50 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 42 | 19 | 10 | 13 | 60—44 | 48 |
| „ისანი" (თბილისი) | 42 | 14 | 19 | 9 | 47—39 | 47 |
| „სამცხე" (აწყური) | 42 | 13 | 18 | 11 | 42—45 | 44 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 42 | 16 | 12 | 14 | 58—67 | 44 |
| „მზიური" (გალი) | 42 | 11 | 20 | 11 | 47—44 | 42 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 42 | 14 | 14 | 14 | 58—57 | 42 |
| ასკ (თბილისი) | 42 | 16 | 9 | 17 | 48—53 | 41 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 42 | 11 | 16 | 15 | 49—66 | 38 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 42 | 12 | 13 | 17 | 51—47 | 37 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 42 | 10 | 16 | 16 | 29—49 | 36 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 42 | 10 | 14 | 18 | 39—52 | 34 |
| „ცისკარი" (ხონი) | 42 | 9 | 14 | 19 | 31—52 | 32 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 42 | 6 | 18 | 18 | 43—73 | 30 |
| „მშენებელი" (ბორჯომი) | 42 | 8 | 9 | 25 | 40—74 | 25 |
| „მადაროელი" (ქვათური) | 42 | 6 | 10 | 26 | 44—82 | 22 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 42 | 5 | 10 | 27 | 46—100 | 20 |

შენიშვნა: I ადგილის გამოსავლენად სამ გუნდს შორის მოეწყო დამატებითი შეხვედრები. ადგილები განაწილდა ისე, როგორც ცხრილშია მოყვანილი.

## სნაიპერები

საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონატმა I ჯგუფის გუნდებს შორის საუკეთესო სნაიპერებიც გამოავლინა. ესენი არიან:

I. ო. რევაზიშვილი („ქართლი", გორის რაიონი) — 27 ბურთი,

II. ვ. მანჯგალაძე („ლოკომოტივი", სამტრედია) — 26,

III-IV. რ. მელიქიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი, თბილისი), ა. მანაგაძე („ფეიქარი", წულუკიძე) — 22-22.

## ტრადიცია აღდგა

23 სექტემბერს თბილისის სტადიონებზე სტარტი მიეცა ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების გუნდების საფეხბურთო ჩემპიონატს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8 კოლექტივმა. მრავალი წლის „შესვენების" შემდეგ განახლდა სტუდენტ ფეხბურთელთა ეს ტრადიციული შეჯიბრება.

ტურნირი წარმატებით განვლო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ო. ურთქმელიძე), რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა უძლიერესის სახელი. ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ხელმძღვანელობა თვალსაჩინო ყურადღებას აქცევენ სტუდენტთა შორის ფეხბურთის განვითარებას.

იგივე შეიძლება ითქვას უნივერსიტეტის კოლექტივზეც (მწვრთნელი გ. აკობაშვილი), რომელმაც II ადგილი დაიკავა. III ადგილზეა ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამე გუნდი (მწვრთნელი ა. გუკასიანი).

სტუდენტთა საქალაქო ჩემპიონატი ორგანიზებულად ჩატარდა, მაგრამ მას მაინც ახლდა ნაკლოვანებანი. კერძოდ, საყვედურის ღირსია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, რომელმაც საშუალება არ მოგვცა მის გამგებლობაში მყოფ სტადიონზე მოგვეწყო შეჯიბრების საზეიმო გახსნა, თუმცა ეს დაგეგმილი იყო თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ამ ინსტიტუტის ფეხბურთელებს უწინ კარგი ტრადიციები ჰქონდათ, ბევრ დიდ შეჯიბრებაშიც გაუმარჯვნიათ, ახლა კი ტურნირს შუა თამაშებში გამოეთიშნენ. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ და გუნდის მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ვლ. რამიშვილმა ყველა ზომას უნდა მიმართონ, რათა მომავალში ამგვარი რამ არ განმეორდეს.

**ი. გოგორაძე,**
**თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქტორი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

* * *

**სურათზე:** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. მარცხნივ დგას გუნდის მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ო. ურთქმელიძე.



## რა მოგვიტანა განვლილმა სეზონმა

სსრ კავშირის საკლუბო ჩემპიონატი ფეხბურთში 1936 წლის გაზაფხულიდან იმართება. წლეულს 32-ე გათამაშება ჩატარდა. მეოთხედ საუკუნეზე მეტია მიმდინარეობს ეს ჩემპიონატები, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მივაღწიეთ ყველაზე რაციონალურ, ოპტიმალურ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფდა არა მარტო საუკეთესო გუნდების გამოვლენას, არამედ ხელს შეუწყობდა ჩვენი ფეხბურთის შემდგომ წინსვლას, ჩვენი ფეხბურთელების სისტემატურ და გეგმაზომიერ პროგრესს. არ არის წელი, რომ ახალი ფორმულა არ შემოგვთავაზონ — ხან ყველა გუნდი ერთ ჯგუფშია თავმოყრილი, ხან ორადაა დაყოფილი. იყო წლები, როცა მონაწილე კოლექტივების რაოდენობა აღწევდა 26-ს, 22-ს, 19-ს, 12-ს და ა. შ. იწყება სეზონი და არ იცი, რამდენი გუნდი იქნება უმაღლეს ჯგუფში და, საერთოდ, რამდენ ჯგუფს და ქვეჯგუფს შექმნიან საკავშირო გათამაშებებში. როგორც იცით, ასეთი ცვლილებები მოხდა 1971 წლისთვისაც. ასეთ მერყეობას მხოლოდ დეზორიენტაცია და არეულობა მოაქვს.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ გუნდების რიცხვი „ა" კლასის უმაღლეს ჯგუფში ზომაზე მეტია. 1960 წელს გუნდების რაოდენობა უმაღლეს ლიგაში ხელოვნურად, გაუმართლებლად გაზარდეს და მას შემდეგ ველარ მივაღწიეთ იმ მდგომარეობას, რომ უძლიერესთა ჯგუფში იყვნენ ნამდვილად უძლიერესნი, საუკეთესონი, რომელთა მეტოქეობა ამაღლებს და სრულყოფს ფეხბურთის კლასს.

ამ საკითხზე კარგა ხანია დავაა. სულ ახლახან, ორიოდე თვეც არ იქნება, „ფუტბოლ-ჰოკეის" ფურცლებზე კვლავ გამოჩნდა პოლემიკური ხასიათის წერილები, რომელთა ავტორები წარსულში გამოჩენილი ფეხბურთელები და ცნობილი სპეციალისტები არიან.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. სტაროსტინი, მაგალითად, წერს: „როცა თავის დროზე ზრდიდნენ ჩვენი ფეხბურთის გეოგრაფიას და შესაბამისად — უმაღლეს და სხვა დანარჩენ ლიგებს, ეს იმას ჰგავდა, ვინმემ რომ აიღოს გარმონი, ბოლომდე გაშალოს იგი ზევიდან ქვევით და ასე დადოს. ასე გაიშალა ჩვენი ფეხბურთი, შემდეგ კი დაიწყო დაახლოების ნელი, მაგრამ ბუნებრივი და უცილობელი პროცესი. ჩვენმა გარმონმა აიწია ქვევიდან ზევით არანაკლებ სამი მეოთხედით. საშუალო გუნდებისა და აუტსაიდერების თამაშის დონე შეუფერხებლად უახლოვდება ლიდერთა თამაშის დონეს. ამიტომ სამი მეოთხედით უფლება გვაქვს გვიხაროდეს ის სიმწვავე და უშეღავათობა, რომელიც ჩვენს ჩემპიონატს ახასიათებს".

სპორტის დამსახურებული ოსტატის ი. ნეტოს აზრი კი ასეთია: „ლიდერთა ჯგუფის გაფართოება, ჩემი აზრით, მოხდა იმიტომ, რომ მარცხი იწვნიეს შარშანდელმა ფავორიტებმა — მოსკოვის „სპარტაკმა" და კიევის „დინამომ". რასაკვირველია, მათ რამდენადმე მიუახლოვდნენ მოსკოვის „დინამო" და ცსკა, მაგრამ მთავარია არა დანარჩენთა ზრდა, არამედ იმათი თამაშის დონის დაქვეითება, ვინც ბოლო წლებში ტონის მიმცემი იყო".

ეს პრინციპული დავაა. ნ. სტაროსტინის შედარებაში სწორია ის, რომ

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 251.

გაწელილი გარმონი თანდათან იკეცება, მაგრამ არა ქვევიდან ზევით, როგორც ავტორს ჰგონია, არამედ პირიქით — ზევიდან ქვევით. რა თქმა უნდა, ტაშკენტსა და ალმა-ათას ადრე არასოდეს ჰყოლიათ გუნდები უმაღლეს ლიგაში. არც კიროვაბადსა და ორჯონიკიძეს. მათი პროგრესი უდავოა. მაგრამ თავიდათავი ისაა, თუ რა სჯობია: როცა კიროვაბადისა და ალმა-ათის გუნდები თამაშობენ უკეთესად (თავიანთ თავთან შედარებით), თუ როცა მოსკოვის „დინამო", „სპარტაკი", ცსკა, „ტორპედო", თბილისის „დინამო", კიევის „დინამო" აუარესებენ კლასს და ველარ უწევენ ღირსეულ მეტოქეობას უცხოეთის საკლუბო გუნდებს? ლენინგრადს ერთი გუნდიღა შერჩა უმაღლეს ჯგუფში და მას იქაც, როგორც იტყვიან, სული კბილით უჭირავს. ამაზე ცოტას ლაპარაკობენ, სამაგიეროდ, გვთავაზობენ „ფახტაქორს", რომელიც თურმე ახლა უკეთ თამაშობს, ვიდრე ოდესმე.

თუ ასეთი კარგი საკლუბო გუნდები გვყავს, რომლებიც სიძლიერით ერთმანეთს გაუტოლდნენ ჩამორჩენილთა პროგრესის ხარჯზე, რატომაა, რომ ისინი სისტემატურად მარცხდებიან ევროპულ ტურნირებში? რატომაა, რომ მაყურებელი აღარ დადის სტადიონზე და უფერული, უინტერესო თამაშების ნახვას შინ ჯდომას ამჯობინებს? რატომაა, რომ ოდესღაც მოსკოვის „დინამომ" ტრიუმფით მოიარა დიდი ბრიტანეთი, ცსკა-მ — შუა ევროპა, ახლა კი ასეთი გამარჯვებები აღარა გვაქვს?

ჩვენი აზრით, უმაღლეს ლიგაში უნდა იყოს 14, მაქსიმუმი 15 გუნდი, ე. ი. ისინი, ვინც თავისი კლასით, სპორტული ოსტატობის დონით ნამდვილად შეეფარდება საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდის დონეს. მაშინ კონკურენცია მათ შორის უფრო გამწვავდება, საერთო მომთხოვნელობა გაიზრდება, ღირსეული ღირსეულს შეხვდება. უმაღლესი ლიგა აკადემიაა და აკადემიაში უმეცრებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ, თორემ რა გამოდის: გვყავს „ა" კლასის უმაღლესი ლიგა, I ლიგა, II ლიგა, ამ გუნდებს სჭირდებათ აუარებელი მოთამაშე, ისინი კი არ გვყოფნის, მწვრთნელები იძულებული არიან ყოველგვარი საშუალებით ეძიონ ფეხბურთელები და, როცა მათ ვერ პოულობენ, კმაყოფილდებიან აშკარად მოუმზადებელი, უნიჭო, უპერსპექტივო, ასე ვთქვათ, „საშუალო ფეხბურთელებით". საბოლოოდ ამიტომაა, რომ 11 კაცი ვერ შევარჩევია სსრ კავშირის ნაკრებისთვის. ამ „საშუალო ფეხბურთელებმა" წალეკეს ყველაფერი, უმაღლეს დონეზე კი ხელმოცარული ვართ, ვინაიდან აღარა გვყავს საერთაშორისო კლასის მოთამაშეები.

ცნობილმა მიმომხილველმა ა. ვიტმა „ნედელიაში" ასეთი რამ დაწერა: „ჩვენი ფეხბურთი 70 წელია არსებობს და გასაკვირი არაა, რომ წარმოიშვა „მამებისა და შვილების" თავისებური საფეხბურთო პრობლემა. ლაპარაკია თამაშის ესთეტიკურ კრიტერიუმსა და აღქმაზე. როდის თამაშობდნენ უკეთ— უწინ თუ ახლა? ამბობენ, რომ უწინ უფრო ხშირად გადიოდნენ საგოლე პოზიციაში, უფრო ხშირად ურტყამდნენ კარში, ხშირად გაჰქონდათ ბურთები. ახლა კი გოლს უცდი და ველარ ხედავ, კარში იშვიათად ურტყამენ, გოლს საჩუქარივით ელიან. დარბიან, დარბიან და სულ უაზროდ.

ამას წინათ ვნახე ერთი ძველი ქრონიკალური კინოფირი. რა ფეხბურთი იყო?! მინდორზე თითქმის გაუნძრევლად იდგა 20 ფეხბურთელი, სასაცილო, მუხლებამდე ტრუსებში. ხან ერთი, ხან მეორე, ვინც ახლოს აღმოჩნდებოდა, მიირბენდა ბურთთან და ძლიერად ურტყამდა მაღლა, ცისკენ, რის შემდეგ ყველა უცდიდა ბურთის დაბრუნებას, რათა კიდევ დაერტყა ვინმეს. კომბინაციები ნელა და ერთფეროვნად ვითარდებოდა, მეკარესთან პირისპირ გასვლა იოლი საქმე იყო... რაც უფრო მეტს ვუყურებდი ფირს, მით უფრო მტკიცდებოდა შეხედულება, რომ ხმელნიცკის, კოზლოვს, პაპაევს, ბიშოვეცს, ჰუსაინოვს, კოხს, პროსკურინს, ან რომელიც გნებავთ ჩვენს თანამედროვე ფეხბურთელს შეეძლო მარტოდმარტო ეჯობნა მთელი ძველი გუნდისთვის".

საინტერესოა, რა ფირი ნახა ასეთი ვიტმა? საშუალო საუკუნეების უნიკალური ძეგლი ხომ არ ჩაიგდო ხელთ? გრძელი ტრუსები დღეს შეიძლება მართლაც ეხამუშება თვალს, მაგრამ ის დროც გვახსოვს, როცა გრძელ ტრუსებამდე ფეხბურთელები მოკლე ტრუსებში თამაშობდნენ. მაგრამ ვინ იყო ის ხალხი, რომელიც ცისკენ ურტყამდა ბურთს და მერე დოინჯშემოყრილი უცდიდა მის დაბრუნებას?! იქნებ, ბატირევი, კანუნიკოვი, ისაკოვი, სელინი, ბუტუსოვი, ლეუტა, რიჟოვი, კორჩებოკოვი, ლაპშინი, პ. დემენტიევი, პავლოვი? ეს ამათაა, ერთად აღებულს რომ აჯობებენ კოხი ან კოზლოვი? აბსურდია! ჩვენ გვინახავს მატჩები, სადაც პროსკურინს ან პაპაევს მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთი ხერხიანი მანევრი ვერ შეუსრულებიათ, ხმელნიცკის ოსტატობით კი საკმაოდ „დავტკბით" მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში. ეჭვი არ გვეპარება, რომ ავტორის მიერ ნახსენები ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ მოხვდებოდა ადრინდელი ცდკა-ს ან მოსკოვის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში.

ფეხბურთი წინ მიდის, ვითარდება, სულ უფრო რთული, ძნელი და შინაარსიანი ხდება. ეს ფაქტია და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, მაგრამ ინდივიდუალურ შემსრულებელთა მაღალი ოსტატობა, ექსტრა-კლასის მოთამაშეთა ნამდვილი ხელოვნება, ყოველი დროის ფეხბურთისთვისაა გამოსადეგი. როგორ ფიქრობს ვიტი, სელინი, ბუტუსოვი, ფედოტოვი, პონომარიოვი, ღოღობერიძე და სხვა კორიფეები დღევანდელ ფეხბურთში რომ ყოფილიყვნენ, იგივე ვარსკვლავები არ იქნებოდნენ? თუ პროსკურინი სჯობია ბობროვს? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენ გვახსოვს ვეტერანთა მატჩები, გნებავთ, ერთმანეთს შორის, გნებავთ, ახალგაზრდულ გუნდებთან. მათი ოსტატობა არა თუ ჩამორჩებოდა, უფრო მაღლაც იდგა კოხებთან და ხმელნიცკებთან შედარებით.

ყოველივე ზემოთქმულს ისევ და ისევ იმას დავსძენთ, რომ ჩვენს ფეხბურთს დღეს აკლია ექსტრა-კლასის ნამდვილი ოსტატები, მაღალი დონის მოთამაშეები და ამიტომაა, რომ არასახარბიელოდ გამოვიყურებით საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებში.

განვლილმა მსოფლიო ჩემპიონატმა ცხადყო, რომ ისეთი მოწინავე გუნდები, როგორიც არიან ბრაზილია, იტალია, გფრ, ინგლისი და სხვანი, პროგრესის გზაზე დგანან, ეძიებენ ახალს, გამოჰყავთ ახალი სახელები, ახალი ვარსკვლავები, ჩვენ კი ასეთი პროგრესი არ გვემჩნევა. წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი უფერულად, უინტერესოდ ჩატარდა, მსოფლიო ჩემპიონატის გაკვეთილები მაინცდამაინც არ დაგვეტყობია. პირიქით, ნაკრების მთელი რიგი მოთამაშეები მექსიკიდან დაბრუნების შემდეგ ფორმიდან ამოვარდნენ და სეზონი ძალიან ცუდად დაამთავრეს. ჩვენში ტაქტიკურ სიახლეებს იმდენად არ ეძებენ, რამდენადაც ქულებს. ქულა გახდა ჩვენი საფეხბურთო ცხოვრების, საქმიანობის, მწვრთნელთა მუშაობის შეფასების მთავარი საზომი. წლევანდელ სეზონში ქულების ძიებას შეალიეს ყველაფერი ლიდერებმაც, აუტსაიდერებმაც, ნავშუა გუნდებმაც... ამასთან, ამ ქულების ძებნის პროცესში ისინი არ ერიდებოდნენ არაფერს, აკრძალულ თუ აუკრძალავ „ხერხებს", მოქმედებდნენ იმ პრინციპით, რომ მიზნის მისაღწევად ყოველგვარი საშუალება კარგიაო.

საკავშირო ჩემპიონატმა ტაქტიკის თვალსაზრისით ახალი არაფერი მოგვიტანა. იგი ტრაფარეტული იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ცსკა-სა და მოსკოვის „დინამოს" კონკურენცია I ადგილისთვის ბრძოლაში, რასაც დამატებითი მატჩი დასჭირდა.

ტაქტიკას ვახსენებთ იმიტომ, რომ ფეხბურთის ამ დარგში ჩვენ მუდამ ყურმოკრული ამბებით ვცხოვრობთ. ვთქვათ, დასჭირდა ინგლისის ნაკრების მწვრთნელს ა. რამსეის უფლანგებოდ თამაში, ვინაიდან მას იმ ხანებში არა ჰყავდა მაღალი კლასის, ტიპიური გარემარბები და ნახევარდაცვის ხაზის თავისებურად დაკომპლექტების შემდეგ მიაღწია იმას, რომ გუნდის შემტევი ძალა არ დაქვეითებულა. ამას მოჰკრეს ჩვენში ყური და წამოიწყეს ყოვლად უსაფუძვლო, დილეტანტური ლაპარაკი იმაზე, რომ თანამედროვე ფეხბურთი უფლანგებოდ თამაშს მოითხოვს და მინდვრის შუაგულის ინტენსიფიკაციის ხარჯზე უნდა მოხდეს გარემარბის ლიკვიდაცია.

შეიძლება, რამსეის მართლაც მოუტანა წარმატება უფლანგებოდ თამაშმა გარკვეულ პერიოდში, მოთამაშეთა გარკვეული კონტინგენტის პირობებში, მაგრამ განა შეიძლება ფეხბურთი უფლანგებოდ და ამ ტაქტიკის პრინციპულ სიმაღლემდე აყვანა? გაიხსენეთ, როგორ თამაშობდა მარჯვენა ფლანგზე სულ ახლახან, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიელი ჟაირზინიო, გაიხსენეთ კლასიკური ფლანგები: გარინჩა — ზაგალო, მეტიუზი — ფინეი, გრინინი — დიომინი, ტროფიმოვი — ს. სოლოვიოვი, მეტრეველი — მესხი და ბევრი სხვა, რომლებიც განუმეორებელ სილამაზეს ანიჭებდნენ ფეხბურთს.

**გ. პაიჭაძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი,**
**გ. ქორქია.**

(დასასრული იქნება)

## „ვარსკვლავთცვენა“

ჩაესვენა ბრაზილიის ფეხბურთის კიდევ ერთი ვარსკვლავი: სპორტი დატოვა მცველმა ჯალმა სანტოსმა, რომელიც 22 წლის მანძილზე გულშემატკივართა ნამდვილი კერპი იყო. „მე 41 წლისა ვარ. ჩემი ასაკის მოთამაშეს უკვე დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვს, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში ახალგაზრდობაა მთავარი. გადავწყვიტე მანამ დავტოვო სარბიელი, სანამ გულშემატკივრების დასაცინი გავხდები, — თქვა ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა სანტოსმა. — ვეტერანები თავს შეცდომების უფლებას ვერ მისცემენ. მაყურებლები არაფერს გაპატიებენ, ისევე როგორც კიდევ უფრო სასტიკი კრიტიკოსები — კორესპონდენტები. ისინი ყველა შეცდომას ახაკს მიაწერენ“.

... ჯალმა 11 წლის ბიჭი იყო, ფეხბურთმა რომ გაიტაცა (ფეხსაცმლის ფაბრიკაში მუშაობდა მაშინ). მამა მას სამხედრო კარიერისთვის ამზადებდა და თავს იმით ინუგეშებდა, რომ მის ვაჟს სპორტი, როგორც სხეულის გაკაჟების კარგი საშუალება, მომავალ საქმიანობაში გამოადგებოდა. მაგრამ მამის ოცნებას ახდენა არ ეწერა. 19 წლის სანტოსი მშობლიური ქალაქის — სან-პაულუს პროფესიულ კლუბში „პორტუგეზაში“ მიიღეს. 11 წლის შემდეგ „პალმეირასის“ ძლიერ კლუბში გადავიდა.

როცა მოეჩვენათ, რომ ჯალმა დაბერდა, ახალი კლუბის მესვეურებმა მას უბოდიშოდ მიუთითეს კარზე.

მაგრამ სანტოსის მეგობრებმა — ბრაზილიის ნაკრების წევრებმა, პირველ ყოვლისა კი პელემ, გადაწყვიტეს ცნობილი ფეხბურთელისთვის საზეიმო გაცილება მოეწყოთ. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ მათი რჩეული კვლავ შეეყვანათ ეროვნულ ნაკრებში, რათა „მარაკანის“ სტადიონზე თავისი მეასე მატჩი ეთამაშა. იმ სამახსოვრო დღეს ნაკრების წევრები თავიანთი ვეტერანი მეგობრის პატივსაცემად დიდი შთაგონებით თამაშობდნენ და პირდაპირ გაანადგურეს ურუგვაის ნაკრები — 4:0.

ჯალმა სანტოსი ფეხბურთს აღარ ითამაშებს. ამას წინათ იგი „ატლეტიკო პარანენსეს“ მწვრთნელი გახდა.

საკდესის კორ.
რიო-დე-ჟანეირო.

## კვლავ ოკეანეში

ლონდონი. ცნობილი ინგლისელი ზღვაოსანი ფრენსის ჩიჩესტერი, რომელმაც 1966-1967 წლებში დედამიწის ირგვლივ მარტომარტომ იმოგზაურა ნავით „ჯიპსი მოთ“, ახლა პლიმუტიდან შორეულ გზას დაადგა ატლანტის ოკეანეში. ნავით „ჯიპსი მოთ-5“ იგი აპირებს 20 დღის განმავლობაში დაფაროს 6000 კილომეტრზე მეტი ბისაუდან (დასავლეთ აფრიკა) ნიკარაგუის ნაპირებამდე. თუ მან მიზანს მიაღწია და საშუალოდ 300 მილი გაიარა, ეს იქნება სისწრაფის მსოფლიო რეკორდი ნავით ხანგრძლივი მოგზაურობისთვის.

ფრენსის ჩიჩესტერი 69 წლისაა.

## პირველ ადგილზეა... გოლფი

ფეხბურთის მეკარეებმა განისაკუთრებით კარგად იციან, რამდენ სწრაფად მიფრინავს ბურთი. სპეციალისტებმა კი შეძლეს უზნაო აბსოლუტური ჩემპიონის გამორკვევა სპორტულ ბურთებს შორის. გამოირკვა, რომ ფეხბურთის ბურთის სიჩქარე 88-90 კმ საათში უდრის. გაცილებით მეტია ჩოგბურთის ბურთის სისწრაფე, აქ უმაღლესი მიღწევა საათში 180 კილომეტრს უდრის. მაგრამ სპორტულ თამაშებში სისწრაფის აბსოლუტური რეკორდი ეკუთვნის ... გოლფს. გამოცდილი ხელით გაგზავნილი პატარა ბურთი საათში 270 კილომეტრამდე სისწრაფეს განვითარება ძალუძს.



▲ ბუქარესტი. რუმინეთის ფიზკულტურისა და სპორტის ეროვნულმა საბჭომ და ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოსცეს მონეტები ოლიმპიადისთვის მზადების ხაჯითი. მათ გადაწყვიტეს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ სახეობებს, რომლებშიც რუმინელებს სარწმუნო ადგილები მოპოვებას შანსი აქვთ, კერძოდ, ხიჯრისა და სოლომეილის ქალთა ხტომას, მეტისა და მაღრის ტყორცნას, 100 მეტრზე თარბონის და 800 მეტრზე რბენას, კრივს, ბარიქადიკიქის და კანოეზი ნიჩბოსნობას, თავისუფალ ჭიდაობას, ხელბურთს, ფარიკაობას. ძალოსნობასა და წყალბურთში ოლიმპიადის მონაწილეთა რიცხვი. 1971 წელს დაწყება განაგრძობს. ოლიმპიური ჯუდოს 1010 წევრიდან ნაკრებში 595 ძიდი ფარბულად. ნაკრების მორიგ დაცემითი ოლიმპიადის წელს აპირებენ.

▲ რომი. სამეული წონის პროფესიონალმა მოკრივემ კ. დურანმა (იტალია) ევროპის ჩემპიონობა დაიცვა. მან ქულებით დაამარცხა დანიელი ტ. ბოგსი.

## მათ საუკეთესოებად ასახელებენ...

ჩამოყალიბებული ტრადიციის ძალით, წარმავალი წლის ბოლოს დღეებში ჩვენი პლანეტის ჟურნალისტები შედეგებს აჯამებენ, სხვადასხვა გამოკითხვებში მონაწილეობენ, საუკეთესო სპორტსმენებს ასახელებენ. სპორტის მოყვარულებმა იციან, რომ ხალხის კონკურსში, რომელშიც სხვადასხვა სახელმწიფოს დედაქალაქთა საგაზეთოები მონაწილეობდნენ, წელიწადის პირველ სპორტსმენად გერმანელი ტანმოვარჯიშე ლ. ტურიშევა დაასახელეს. ამ დღეებში საბჭოთა ჟურნალისტებიც თავიანთი ქვეყნის სპორტსმენთა პირველ ათეულს გამოავლინებენ.

დასავლეთ გერმანიის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტომ დპა-მ პლანეტის საუკეთესო სპორტსმენებად სამჯერ ძალოსანი ვ. ალექსეევი დაასახელა. საუკეთესოთა ათეულში შევიდნენ, აგრეთვე, პელე, ჯ. კლარკი, გ. ნაპალკოვი, სხვა ჩემპიონები და რეკორდსმენები.

უნგრეთში 1970 წლის № 1 სპორტსმენებად აღიარეს თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიო ჩემპიონი ა. ბალჩო და ევროპის ჩემპიონი ცურვაში ა. დიარმატი.

ასოშიეიტედ პრესმა (აშშ) ანკეტა ჩაატარა ევროპელი ჟურნალისტებისთვის, რომლებიც ამ სააგენტოსთვის წერენ. მათ საუკეთესოდ დაასახელეს ბრიტანელი ფეხბურთელი პელე. ეს ფენომენალური სპორტსმენი საუკეთესოდ აღიარებულია სპორტის ამ სახეობის ხაზშორსი — ინგლისში ბი-ბი-სი-ს მიმომხილველთა მიერაც.

ფრანს პრესის სააგენტოს ანკეტაში ყველაზე მეტი ხმა მიიღო ცნობილმა ბელგიელმა ველოსიპედისტმა ე. მერქსმა, რომელმაც „ტურ დე ფრანსი“ მოიგო. ამ სპორტსმენის გვარი პირველ წელია ამერიკული სააგენტოს იუპი-ის ანკეტაშიც. მის გვერდით არიან ალექსეევი და პელე.

ფინეთის 141 სპორტული ჟურნალისტმა თავისი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად 50 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში მსოფლიო ჩემპიონი კ. ოიკარაინენი დაასახელა.

პოლონურმა გაზეთმა „სპორტმა“ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლინებას დაიხადა მიზნად. მას შეიძლება, რაც დამეშვიდა რამდენიმე ათასი წერილი, გამოირკვა, რომ ყველას აჯობა ზბიგ „გურნიკის“ თავდამსხმელმა ვ. ლოიბანსკიმ, სინტერესოა აღინიშნოს, რომ ლოიბანსკიმ ასეთივე წარმატება 1967 წელს მიიღო.

ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საუკეთესო სპორტსმენის გამოვლინებისთვის სპორტული ჟურნალისტები გამოიყენებენ — ისინი გაზეთ „ვოლკ ვოლტის“ ჩემპიონატ ეპიზოდის კუპონის ავსებენ. წლიურ რიცხვთან 1.054.958 პასუხის დამუშავება მოუხდა. ქალთა შორის საუკეთესო აღმოჩნდა ტანმოვარჯიშე ე. ცუჩოლდი. შემდეგ მოდიან მძლეოსანი კ. ბალტერი და ფიგურული ციგურაობის დიდოსტატი გ. ზაიფერტი. ვაჟებში ყველაზე მეტი ხმა მიიღო მოცურავე რ. მათესმა. მის გვერდით დგანან მძლეოსანი ვ. ნორდვიგი და მოთხილამურე გ. გრიმიერი.





## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ინგლისი. განვლილი ტრიუმფი ჩემპიონატის 22 ტური. ალბათ ნიშნავია, რომ ბოლო მეზუდეებში ლიდერებმა გამარჯვების მოპოვება მოახერხეს. მაგალითად, „ლიდსმა“ დაამარცხა „ეფერტონი“ — 1:0, „არსენალმა“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ — 3:1. „ჩელსიმ“ მხოლოდ ფრე 2:1 მოიგო „ვესტ ჰემ იუნაიტედს“, ხოლო „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ ქალა დაკარგა „ვულვერჰემპტონ უონდერერსთან“ მატჩში — 0:0. 22 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: „ლიდსი“ — 37 ქულა, „არსენალი“ — 35, „ჩელსი“ — 29, „ტოტენჰემი“ — 28.

იტალია. გათამაშების ლიდერობს „მილანი“, რომელსაც 10 ტურის შემდეგ 16 ქულა აქვს. ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან „ნაპოლი“ და „კალიარი“. აღსანიშნავია, რომ გასულ ტურში „კალიარიმ“ მოიგო „ბოლონიას“ (2:1), ხოლო „მილანმა“ სტუმრად დაამარცხა „ნაპოლი“ — 1:0.

ავსტრია. ამ ქვეყნის საშემოდგომო ჩემპიონი გახდა ზალცბურგის „ავსტრია“, რომელმაც პირველ წრის 15 მატჩში 22 ქულა დააგროვა. II ადგილზეა ავსტრიის მრავალგზის ჩემპიონი, ვენის „რაპიდი“ — 21 ქულა. გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი (სათამაშო ...) 15 მატჩში გატანილი აქვს 14 ბურთი.

იუგოსლავია. ზამთრის არდადეგების წინ, ჩემპიონატის პირველი ნახევარი წარმატებით განვლო ბელგრადის „პარტიზანმა“, რომელსაც ახლა 25 ქულა აქვს. ლიდერს ქულით ჩამორჩება „ჰაიდუკი“.

გფრ. 23 იანვარს განახლდება ამ ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის მეორე ნახევარი. ჯერჯერობით წინაა „ბაიერნი“, რომელსაც 17 მატჩში 26 ქულა დააგროვა.

შოტლანდია. აქაურ ფეხბურთში მოწინავე პოზიციებს უკავიათ „სელტიკსა“ და „აბერდინს“, მაგრამ ახლა, 17 ტურის შემდეგ, ჩემპიონობის 30 ქულით საპატიო ადგილზე „აბერდინი“. „სელტიკი“ ლიდერს ჩამორჩება მხოლოდ ქულით, ხოლო „გლაზგო რეინჯერსი“ მნიშვნელოვნად დაიჭიმა უკან: მას მხოლოდ 21 ქულა აქვს.

პორტუგალია. განთქმული „ბენფიკა“ საშინელ ჯერ კიდევ ვერ გამოსწორებულა. კერძოდ, გასულ მე-14 ტურში ეკრიტის გუნდი დამარცხდა „კუფ“-თან შეხვედრაში — 0:2. ნინაა „სპორტინგი“ (23 ქულა), შემდეგ „კადდერმე“ (21) და „სეტუბალი“ (20). „ბენფიკას“ 19 ქულით მხოლოდ IV ადგილზეა.

## ბოლო რეპლიკები

ჩვენი კონტინენტის საუკეთესო „ზურინაკი მოთხილამურეები“ ოთხი ტრამპლინის ტრადიციული სამხედრო ტურნირისთვის სამზადის ამთავრებენ. ზოგ ქვეყანაში გუნდები კიდევაც დაკომპლექტებს. მაგალითად, ფინელთა ნაკრების შემადგენლობა ამ ქვეყნის „ბაძი ტრამპლინის ტურნის“ შედეგების გასაზრდელად. სურვის გუნდში შეიყვანეს ი. რუოტსალაინენი, ე. რაუტიონაარი და ტ. კოჩე.

უფრო მრავალრიცხოვანია ჩეხოსლოვაკიის გუნდი, რომელსაც ოლიმპიური ჩემპიონი ი. რაშკა უდგას სათავეში. მის გარდა გუნდში იქნებიან ა. დოლეჟალი, ზ. ნოვაკი, რ. პაიშლი, რ. დოუბეკი, ზ. ბუბინი და ბ. კნაური.

ნორვეგიელები გუნდს 27 დეკემბერს დაამთავრებენ. მათ ხელის მაღლობელად გამართან მოლოსმენას მეტოქეებს, რომლების 0. მორვიმ მოიგო — 227,4 ქულა (ნახტომები — 75,5 და 78). ცნობილი „ზურინაკი მოთხილამურეები“ ბ. ვირკოლა და ლ. გრინი II და III ადგილებს დაიმკვიდრებენ.

ავსტრიის პატარა ქალაქ მიუუნსტერში ტრამპლინზე ეროვნული შეჯიბრება ჩატარდა, ჩემპიონად გამოცხადდა ი. კეივეზიოვაილამი, რომელმაც 83 და 80 მეტრზე გაფრინდა (209,7 ქულა). ბ. პალუხაოველი II ადგილზეა.

გერმანიის სპორტსმენთა შორის შერჩევითი ტური გამართა მოდინში. სპორტსმენების ტრამპლინზე მხტუნავებმა ერთი რეგულირი მარცხენით ჩემპიონი ვ. ნაპალკოვი. პირველი იყო 90 მეტრზე გაფრინდა, მეორე — 104,5 მ ახლოს, საბოლოოდ 230 ქულა დააგროვა და გაიმარჯვა. II ადგილზეა ვ. მორზიანიკი — 222,5 (93,5 და 101,5), III — ვ. დერინძე — 216 (89,5 და 99,5).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## უეფა-ს ტურნირზე

22-30 მაისს ჩეხოსლოვაკიაში ტარდება უეფა-ს ტრადიციული ტურნირი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის, რომელიც ფაქტიურად კონტინენტის არაოფიციალური ჩემპიონატია.

აი, როგორ განაწილდნენ გუნდები შესარჩევ ჯგუფებში: I. ავსტრია, ესპანეთი, პორტუგალია და საფრანგეთი, შვეიცარია და მალტა; II. სსრ კავშირი, საქართველოს ჯგუფში გამარჯვებული (რუმინეთი, თურქეთი, ბულგარეთი), საკვალიფიკაციო ჯგუფში გამარჯვებული (შოტლანდია, ისლანდია, ულსი), საკვალიფიკაციო ჯგუფში გამარჯვებული (ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი); III. გდრ (ჯგუფის ჩემპიონი), ჩეხოსლოვაკია, საბერძნეთი, გფრ და იტალია; IV. იუგოსლავია, ინგლისი, პოლონეთი, საკვალიფიკაციო ჯგუფში გამარჯვებული (შვეცია, ფინეთი, ნორვეგია).

4 ულიდერეს გაატერდება ბრძოლას. 28 მაისს პრაღაში გაიმართება ნახევარფინალები, 30 მაისს აქვე ფინალი და მატჩი III ადგილისთვის.


თბილისი ს ს რ ს ფ ს


ჰალათბურთი. სპორტის სასახლე. სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი. 27 დეკემბერი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „კალევი“ (ტალინი). დასაწყისი: საათობრივი შემადგენლობებისა — 18 ს; ძირითადი შემადგენლობისა — 20 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უ 04538